შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№48 (9.662)

20-27 დეკემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილეს

19 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონფერენციო დარბაზში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილეს. ბიუჯეტი და მისი პრიორიტეტები საზოგადოებას საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა გააცნო. 2015 წლის ბიუჯეტი 4459,6 ლარს შეადგენს. პროექტის მიხედვით, წლევანდელი ბიუჯეტის პრიორიტეტებს თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, ასევე, განათლება, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობა წარმოადგენს. 2015 წელს მნიშვნელოვანი ყურადღება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას და სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელებას მიექცევა. „ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად, პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ჩვენს მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება. ამიტომ, 2015 წელს მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და ორიენტირებულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სოციალური პროგრამების გაუმჯობესებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობაზე.

როგორც ვთქვი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია დედოფლისწყაროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. გაგრძელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, წყალმომარაგების, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების რემონტი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და გარე განათების სისტემის მოწყობა. ასევე უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილობრივი დასუფთავება, სერიოზული ყურადღება ამ მხრივ მიექცევა სოფლებში ნაგვის გატანის საკითხის დარეგულირებას.

სხდომის მიმდინარეობისას შემოთავაზებულ საბიუჯეტო პროექტზე გარკვეული შენიშვნებიც გამოითქვა.

განხილვაზე განსახორციელებელ პრიორიტეტებთან დაკავშირებულ შეკითხვებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე სოსო ჯამასპიშვილი პასუხობდნენ.

„2015 წლისთვის გაუმჯობესებულია სოციალური დახმარებები და მომავალში კიდევ 300 000 ლარია გათვალისწინებული. დაფინანსება გაეზარდა სკოლამდელი აღზრდის ცენტრს, კულტურის და სპორტის ცენტრს. საჯარო მოხელეთა ხელფასები, ანუ ადმინისტრაციული ხარჯები ბიუჯეტის 25%-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტში შტატები შემცირდა და თვითმმართველობის კოდექსის ახალ ფორმულას მოერგო. ასე რომ, ბიუჯეტში ხელფასებზე სხვა სახსრები გათვალისწინებული არ არის," - აღნიშნა გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა ელენე ბაიაშვილმა.

„იმ შემოსავლების ფარგლებში, რაც გაწერილია, მაქსიმალურად შევეცადეთ, პრიორიტეტები სწორად დაგვეგეგმა. თამამად უნდა ითქვას, რომ ის აღმშენებლობა, რომელიც ბოლო 2 წელია დედოფლისწყაროში მიმდინარეობს, კვლავაც აქტიურად გაგრძელდება. პრიორიტეტული იქნება ასევე წყალმომარაგების თემა, რათა ერთხელ და სამუდამოდ სოფლებშიც გადავჭრათ ეს პრობლემა. აქტიურად გავაგრძელებთ გზების რეაბილიტაციის საკითხს. უახლოეს დღეებში იწყება ახალი საავადმყოფოს მშენებლობის პროცესი, მომავალ წელს დაიწყება შენობის გარეშე დარჩენილი დედოფლისწყაროს ბიბლიოთეკის სამუშაოებიც," - აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

სხდომის დასასრულს მოსახლეობას და, განსაკუთრებით, ფერმერებს მადლობა გადაუხადა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ სოსო ჯამასპიშვილმა: „მიუხედავად იმისა, რომ წელს დედოფლისწყაროელ ფერმერებს ცუდი სამეურნეო წელიწადი ჰქონდათ, მათ მიწაზე ქონების გადასახადი მაინც გადაიხადეს და რაიონის ბიუჯეტი არ დაეზარალეს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, თითოეულ თეთრს გავუფრთხილდეთ და მიზნობრივად გავხარჯოთ".

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს საკრებულო კენჭს 23 დეკემბრის სხდომაზე უყრის.

ინგა შიოლაშვილი

საჩუქარი ჩვენს ერთგულ მკითხველს

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი" არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2015 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 25 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში.

შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

საჯარო მოხელეთა ტესტირება 23 დეკემბერს დაინიშნა

63.3

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი"

2015 წლისთვის გაზეთ „შირაქის" პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი" ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი" – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ილია მეორე -შევთხოვოთ წმინდა ნიკოლოზს, დაგვიბრუნოს აფხაზეთი და სამაჩაბლო

სამების საპატრიარქო ტაძარში წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღესთან დაკავშირებით წირვა აღევლინა.

ლიტურგია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შეასრულა და წმინდა ნიკოლოზს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გამთლიანება შესთხოვა.

ქადაგებისას უწმინდესმა მრევლს დღესასწაული მიულოცა და აღნიშნა, წმინდა ნიკოლოზი ყოველთა ქართველთა, დიდ კათალიკოსად, საქართველოს წინამძღოლად და სულიერ მამად მოიხსენია.

მან ბათუმში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში მსახურობის პერიოდი გაიხსენა, სადაც უკრაინიდან მასთან ჩავიდა სასულიერო სემინარიის მეგობარი, რომელიც ძალიან შეჭირვებული იყო. ილია მეორემ წერილი მისწერა მაშინდელ კათოლიკოს-პატრიარქს ეფრემ მეორეს და იგი ტაძარში მსახურებაზე დაადგინეს.

“წმინდა ნიკოლოზი მფარველობს ყველას, ვინც სიხარულით, სიყვარულით და რწმენით მიმართავს მას. მრავალი სასწაული ხდება და ეს სასწაულები არ ილევა. დღეს შევთხოვთ წმინდა ნიკოლოზს, გაამთლიანოს საქართველო, დაგვიბრუნოს აფხაზეთი და სამაჩაბლო. მე იმედი მაქვს, რომ წმინდა ნიკოლოზი შეგვისრულებს ამ თხოვნას”, - ბრძანა უწმინდესმა.

19 დეკემბერს პატრიარქმა რამდენიმე სასულიერო პირი ოქროს ჯვრის ტარების უფლებით დაავჯილდოვა.

პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმა იწყება

პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდისა და ანგარიშვალდებულების მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით, უწყების ინსტიტუციური რეფორმა იწყება, - შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შექმნა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს მთავრობის სხდომაზე დაავალა.

ღარიბაშვილის თქმით, ეს, ისევე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა, ხელისუფლების ერთ-ერთი დაპირება იყო.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, პროკურატურის ორგანოები დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიან მექანიზმად ჩამოყალიბდეს, გაძლიერდეს, მაგრამ, ამავე დროს, ემსახურებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპის განმტკიცებას საქართველოში. პროკურატურა სისხლის მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ძალიან მნიშვნელოვანი ორგანოა. ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრისთვის, მნიშვნელოვანია, რომ არ დარჩეს არც ერთი უწყება, რომელსაც არ შეეხება ჩვენი რეფორმატორული კურსი და რომელიც, ჩვენი მმართველობის პირობებში, არ გახდება უკეთესი, ვიდრე ახლაა. საქართველოში ინსტიტუციური დემოკრატიის მშენებლობაც სწორედ ამას გულისხმობს“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, პროკურატურის ორგანოების ინსტიტუციურ რეფორმაზე მსჯელობა ევროკავშირთან თანამშრომლობით დაფუძნებულ სისხლის სამართლის უწყებათაშორის საბჭოში წარიმართება, რომლის შემადგენლობაშიც ყველა ძალოვანი სამინისტრო, პროკურატურა, არაერთი სამინისტრო, ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები შედიან.

„მთავარია, ჩამოყალიბდეს ინსტიტუციურად დაბალანსებული მოდელი, რომლის ფარგლებშიც პროკურორთა ნეიტრალიტეტი იქნება ინსტიტუციურად უზრუნველყოფილი და დაცული იქნება ანგარიშვალდებულების პრინციპი. საუბარია იმაზე, რომ პროკურორი კიდევ უფრო დამოუკიდებელი გახდეს, მაგრამ ანგარიშვალდებულების საკითხი იყოს მკაფიოდ განსაზღვრული“,- აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მან დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართა, ჩაერთონ სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში და გამოხატონ თავიანთი აზრი, რათა საუკეთესო და ყველაზე კარგად დაბალანსებული მოდელი შეიქმნას.

საქართველოში ღვინის მუზეუმი დააარსდება

საქართველოში ღვინის მუზეუმი დაარსების შესახებ პრემიერ—მინისტრის ინიციატივაზე იმსჯელეს დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე. პროექტის ფარგლებში, თბილისს ღვინის კულტურის ცივილიზაციის ფონდის დამფუძნებელი სანტიაგო ვივანკო ეწვია. მსოფლიოში ცნობილი ვივანკოს დინასტიის წარმომადგენელმა საქართველოს პრემიერ—მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მუზეუმის იდეასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა გააცნო.

სანტიაგო ვივანკო, რომელიც ასევე ბორდოს ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრის ბორდის წევრია, გამოთქვამს მზაობას, მონაწილეობა მიიღოს საქართველოში ღვინის მუზეუმის განხორციელების პროექტში და იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

„ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა ღვინის მწარმოებელ ქვეყანაში სტუმრობა. მოხარული ვარ, მხარი დავუჭირო ისეთ მნიშვნელოვან პროექტს, როგორიცაა ღვინის მუზეუმი საქართველოში, რადგანაც თქვენი ღვინო მსოფლიო ღვინოების მამაა. ვფიქრობ, ყველა ადამიანმა, ვისაც ღვინო უყვარს, უნდა მოინახულოს საქართველო,“—განაცხადა სანტიაგო ვივანკომ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

შეხვედრას სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი და საქართველოს ელჩი ესპანეთის სამეფოში ზურაბ პოლოლიკაშვილი დაესწრნენ.

დაავადებათა კონტროლის ცენტრი მოსახლეობას მოუწოდებს, პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა ბავშვებს დროულად ჩაუტარონ

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას მოუწოდებს, პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა ბავშვებს დროულად ჩაუტარონ.

როგორც “ინტერპრესნიუსს” დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსმა ხათუნა ზახაშვილმა განუცხადა, მშობლებს ყურადღება მართებთ, რადგან პნევმოკოკი განსაუთრებით საშიშია 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. რისკის ჯგუფებს წარმოადგენენ ასევე დღენაკლული, მცირეწონიანი და ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვები.

პნევმოკოკები ხველისა და ცემინების დროს გამოიყოფა და წვეთოვანი გზით ვრცელდება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ პნევმოკოკურ ინფექციებთან ბრძოლის საუკეთესიო საშუალება ვაქცინაციაა. მათივე ინფორმაციით,

პნევმოკოკი ბაქტერიაა, რომელიც პნევმონიას, ანუ ფილტვების ანთებას, მენინგიტის ანუ ტვინის გარსების ანთებას, მძიმე ბრონქიტს - გულის შიდა გარსების ანთებას და შუა ყურის ანთებას იწვევს.

პნევმოკოკურ ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 15 თვემდე ასაკის ბავშვებში უფასოა

ქალთა უფლებების შესახებ დედოფლისწყაროში ტრენინგი ჩატარდა

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42“-ე მუხლის წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროში ქალთა უფლებების შესახებ ორდღიანი ტრენინგი გამართეს. პროექტი „ქალთა გაძლიერება სოციალური განვითარებისთვის“ „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ დაფინანსებით ხორციელდება და ამგვარ შეხვედრებს რეგიონებშიც ითვალისწინებს.

დედოფლისწყაროელებს უფასო იურიდიული კონსულტაციებიც გაეწიათ. ხაზი გაესვა ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა ჩართულობას და ასევე დისკრიმინაციის მსხვერპლთა უფლებებს.

„ტრენინგები მოქალაქეებისთვისაც იყო გათვალისწინებული, მაგრამ მათ დასწრება ვერ მოახერხეს, ამიტომ თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ. ტრენინგი მოიცავდა თითქმისყველა უფლების განმარტებას, რაც ადამიანისთვის აუცილებელია. ასევე გვესწრებოდნენ დედოფლისწყაროს ყველა სოფლის ხელმძღვანელები და იმედი გვაქვს, ისინი ამ ინფორმაციას მათი სოფლების მაცხოვრებლებსაც გაუზიარებენ. აუცილებელია მოქალაქეები ფლობდნენ ამ ინფორმაციას, რათა თავისი უფლებები განახორციელონ. ძალადობის აღმოფხვრა და მოქალაქეთა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში ჩართულობა პრობლემაა. მოქალაქეებში საკუთარი უფლებების არცოდნა პრობლემებს ქმნის. ამიტომ, უკვე სამი წელია ჩვენი ორგანიზაცია ამგვარ შეხვედრებს ატარებს, რათა აღმოვფხვრათ ეს ვაკუუმი, გაძლიერდეს ქალთა როლი საზოგადოებაში და გაიზარდოს მათი სამართლებრივი ცნობიერება. კახეთის სხვა რაიონებშიც ვიყავით და მომდევნო კვირას გურჯაანში ვგეგმავთ ტრენინგების ჩატარებას,“ — განუცხადა ქიზიყი.გე-ს ტრენერმა ნათია ჩაჩანიძემ.

შეგახსენებთ, ბოლო ხანს დედოფლისწყაროში დისკრიმინაციის და ქალთა მიმართ ძალადობის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა.

ილია მარტყოფლიშვილი

საახალწლო ღონისძიებების განრიგი დედოფლისწყაროში

29 დეკემბერს,18 საათზე, ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე, - ნაძვისხესთან, გ ი ნ ვ ე ე თ გრანდიოზულ, საახალწლო ღონისძიებაზე..

შოუ-პროგრამაში მონაწილეობენ მომღერლები: ანრი ჯოხაძე, სალომე ბაკურაძე, ნოდიკო ტატიშვილი, გიორგი სუხიტაშვილი და სხვები.

გთხოვთ, მობრძანდეთ!

თქვენ გელით ულამაზესი საახალწლო საღამო და დაუვიწყარი ფეიერვერკი.

24 და 25 დეკემბერს,15 საათზე კი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი, ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, გიწვევთ საახალწლო ღონისძიებაზე.

ღონისძიებაში მონაწილეობენ სტუდია ,,არლეკინოს” გოგო-ბიჭები.

მობრძანდით, თქვენ გელით ულამაზესი და დაუვიწყარი მიუზიკლი.

(დამატებით გაცნობებთ, რომ 24 დეკემბერის ღონისძიება გათვალისწინებულია სკოლამდელი (ბაღის) ასაკის აღსაზრდელებისა და საჯარო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის)

ქარსაცავი ზოლების აღდგენაზე თანხას მხოლოდ იმ ნერგებში გადაიხდიან, რომელიც იხარებს

ქარსაცავი ზოლების აღდგენასთან დაკავშირებით დედოფლისწყარომ მიდგომა შეცვალა. წლების განმავლობაში ნერგების გაშენების არაერთი პროექტი განხორციელდა, თუმცა სოლიდური ფინანსური დანახარჯის მიუხედავად შედეგი არ ჩანს.

დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ ამჯერად თანხას მხოლოდ იმ ნერგებში გადაიხდიან, რომელიც იხარებს. საპილოტე პროექტი უკვე დაიწყო და მას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება აფინანსებს.

„სამუშაოების მწარმოებელი კომპანიები პროექტის ბიუჯეტიდან დაფინანსებას იმის მიხედვით მიიღებენ, რამდენი ნერგიც საბოლოო ჯამში ზრდას გააგრძელებს. ასე რომ, ახალი მიდგომის მიზანი ისაა, კომპანია თავადაც იყოს დაინტერესებული, რაც შეიძლება მეტი ნერგი გადარჩეს, რადგან ეს მათ დაფინანსებაზე პირდაპირ აისახება.

ვიცით, რომ დედოფლისწყაროში გასულ წლებშიც არაერთხელ მოხდა ქარსაფარების აღდგენა, თუმცა შედეგი არ ჩანს. ამიტომ დონორთან პირველივე შეხვედრის დროს გადავწყვიტეთ, ისეთი მექანიზმი შეგვექმნა, რაც მეტ ეფექტურობას განაპირობებდა და შედეგზე იქნებოდა ორიენტირებული. ამიტომ, სანერგე მეურნეობები თანხას მიიღებენ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ნერგების აღმოცენების ხელისშემშლელი გარემოებები აღარ იქნება. შედეგად მივიღეთ ის, რომ სანერგე მეურნეობებმა უკვე დაიწყეს ზრუნვა, რომ დარგვის შემდეგაც მოვლა-პატრონობა გაუწიონ მცენარეებს. დამეთანხმებით, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია. უკვე ვესაუბრე სანერგე მეურნეობების წარმომადგენლებს და თავის მხრივ, ისინი უკვე ფიქრობენ, ამ ტერიტორიებზე დარაჯი დააყენონ, რათა ზოლი მაქსიმალურად დაიცვან საქონლისაგან, თუ გადაწვისგან. ამასთან, თუ ნერგი გარემო პირობებს ვერ გაუძლებს, დააზიანებს ზამთარი, ან ზაფხულის გვალვები, ასეთ შემთხვევაში პროექტით გათვალისწინებულია მისი გამოცვლის ვალდებულება. პროექტის მაქსიმალური შედეგიანობა ხელს შეუწყობს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სახნავ-სათესი მიწის ფართობების დაცვას,“ — განუცხადა ქიზიყი.გე-ს დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ნერგების გაშენებაზე ორი სანერგე მეურნეობა მუშაობს და დედოფლისწყაროში ორ სხვადასხვა ტერიტორიაზე 4 კილომეტრი სიგრძის ქარსაფარი ზოლი უნდა შეიქმნას.

ილია მარტყოფლიშვილი

საჯარო მოხელეთა ტესტირება 23 დეკემბერს დაინიშნა



იანვრიდან თვითმმართველობის ორგანოს ის თანამშრომლები რომლებიც მოვალეობის შემსრულებლებად არიან დანიშნულნი, თანამდებობებზე ვეღარ დარჩებიან. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ბევრ თანამდებობაზე კვლავაც მოვალეობის შემსრულებლები მუშაობენ. სწორედ ამიტომ დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ორგანოებში ვაკანტური ადგილების დასაკავებლად და მოხელეთა შესარჩევად კონკურსი გამოცხადდა.

დედოფლისწყაროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის, სოლომონ ღორაშვილის განმარტებით, კანდიდატთა რეგისტრაციის დროს მოქალაქეთა საკმაო აქტივობა დაფიქსირდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელის ვაკანსიების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში რეგისტრირებული მოქალაქეები ტესტირებას სამშაბათს, 23 დეკემბერს გაივლიან. როგორც დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მეტი გამჭვირვალობისთვის ტესტირება თბილისში, ცენტრალიზებული წესით ჩატარდება და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად პროცესს მთლიანად იუსტიციის სახლი წარმართავს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეთა კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაციის ვადა 18 დეკემბერს ამოიწურა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში 85 ვაკანტურ ადგილზე 180-ზე მეტი განაცხადია რეგისტრირებული. როგორც გამგეობაში გვაცნობეს, 81 ვაკანტური ადგილი გამგეობაშია გამოცხადებული, 4 კი საკრებულოში.

„23-ში ტესტირება ჩატარდება, მომდევნო ორი დღე კი გასაჩივრებას და პრეტენზიებს დაეთმობა. 25 დეკემბრიდან გასაუბრების პროცესს დავიწყებთ, ვვარაუდობთ, რომ სამი დღის ვადაში მოვასწრებთ გასაუბრების დასრულებას. 1 იანვრიდან უკვე ტესტირების შედეგად შერჩეული კადრები დაიკავებენ თანამდებობებს. ვადებში ვეტევით, ყველაფერი გაწერილია,“ - აღნიშნავს დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

კონკურსი სამ ეტაპად ჩატარდება. საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის ტესტები 60 კითხვით განისაზღვრა, რომელიც მოიცავს კონსტიტუციას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს, საჯარო სამსახურის შესახებ კანონს, ევროპულ ქარტიას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და ზოგად უნარ ჩვევებს. კონკურსანტებმა 51%-იანი ბარიერი (31 ქულა) უნდა გადალახონ.

ილია მარტყოფლიშვილი

ევროკავშირისკენ მიმავალი საქართველო

490 ხმით 76-ის წინააღმდეგ — კენჭისყრის ასეთი შედეგით დასრულდა 18 დეკემბერს ევროპარლამენტში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირების პროცედურა. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს დელეგაცია, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ხელმძღვანელობით. სტუმრებისთვის განკუთვნილი აივნიდან ევროპარლამენტის სხდომას ასევე თვალყურს ადევნებდა ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ხუთშაბათის სხდომაზე კენჭი უყარეს საქართველოს შესახებ რეზოლუციას.

ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირების ხანმოკლე პროცედურის შემდეგ, სხდომათა დარბაზში ერთგვარი შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა 10-მდე ევროპარლამენტარი. შეიძლება ითქვას, რომ მათი უმრავლესობა ასოცირების შესახებ შეთანხმებას განიხილავს ისტორიულ შანსად საქართველოსთვის, რომ ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ევროკავშირის დემოკრატიულ ფასეულობებს. მაგალითად, ევროპარლამენტარმა დიდი ბრიტანეთიდან დენიელ ჰანანმა ერთმანეთს დაუკავშირა უკრაინისა და საქართველოს პრობლემები, რომლის სათავეშიც დგას პუტინის რუსეთი — მწვავე ბრძოლით დასავლური ფასეულობების წინააღმდეგ. დენიელ ჰანანი დახმარების აუცილებლობაზე აკეთებს აქცენტს:

„რა თქმა უნდა, ქართველმა ხალხმა, უკრაინელი ხალხის მსგავსად, - და, საერთოდ, ნებისმიერმა ქვეყანამ, - თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ თუკი ისინი არჩევანს გააკეთებენ დასავლური ლიბერალური ფასეულობების სასარგებლოდ, ჩვენ ვალდებული ვართ მხარი დავუჭიროთ მათ. და ეს შეეხება არა მხოლოდ ევროკავშირს, არამედ მთელ ევროატლანტიკურ თანამეგობრობას“.

18 დეკემბრის სხდომაზე სიტყვით აღარ გამოსულა საქართველოს შესახებ მომხსენებელი, ევროპარლამენტის წევრი ლატვიიდან ანდრეის მამიკინსი, თუმცა მან საკუთარი მოსაზრება რატიფიცირებამდე გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გამოხატა. „გახარებული და ბედნიერი ვარ“, განაცხადა მან და 18 დეკემბერს უწოდა ისტორიული დღე საქართველოსთვის:

„ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ისტორიაში ბოლო 20 წლის განმავლობაში. საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან კარგად იმუშავა. ვიმედოვნებ, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების შემდეგ დავიწყებთ მოლაპარაკებებს უვიზო მიმოსვლის თაობაზე და შესაძლოა მომავალში ვილაპარაკოთ ასევე საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე. როგორც ცნობილია, ევროკავშირის მნიშვნელოვანი პრინციპია გაფართოება, საქართველო კი ევროპული ქვეყანაა. საქართველო ევროპული ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია“.

ასოცირების შესახებ შეთანხმება საბოლო შედეგი რომ არ არის საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაში და ეს გზა რომ ლოგიკურად ევროკავშირში გაწევრიანებით უნდა დასრულდეს, ეს ცხადია საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისთვისაც, რომელიც ერთობლივ პრესკონფერენციაზე მედიის წინაშე ანდრეის მამიკინსთან ერთად წარდგა:

„დღეს ჩემი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღეა. ჩვენ წინ მივიწევთ ევროპული ერების ოჯახისკენ, ვდგამთ ნაბიჯებს, რომლებსაც, კულტურული თუ ემოციური თვალსაზრისით, ჩემი ხალხის არაერთი თაობა დგამდა, ხოლო, პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ ნაბიჯების გადადგმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო“.

ამავე პრესკონფერენციაზე გიორგი მარგველაშვილს დაუსვეს შეკითხვა პოლიტიკური მოტივით შერჩევით სამართალთან დაკავშირებით, რაც 18 დეკემბერს ევროპარლამენტის მიერ (491 ხმით 84-ის წინააღმდეგ) დამტკიცებულ რეზოლუციაშიც არის ნახსენები. საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ევროპარლამენტარების შეფასებები მეტად საყურადღებოა, რომ ქვეყანა სწორ გზაზე დგას და ვითარდება, მაგრამ დემოკრატიული განვითარების პროცესი იოლი არ არის. რეზოლუციაში ჩადებულ აქცენტს შერჩევით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით ანდრეის მამიკინსიც გამოეხმაურა. რეზოლუცია სწორედ მის მიერ მომზადებულ ანგარიშს ეყრდნობა, თუმცა ტექსტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა ევროპის სახალხო პარტიის აქტიურობის შედეგად:

„ეს მხოლოდ რეკომენდაციაა. ევროპარლამენტი სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას გააძლიეროს სასამართლო სისტემა, რათა სასამართლო გახდეს უფრო დამოუკიდებელი. ეს კარგი იქნება საქართველოსთვის, მისი თითოეული მოქალაქისთვის და ეს კარგი იქნება ევროკავშირისთვის“.

შერჩევით სამართალთან დაკავშირებული აქცენტის გარდა, რეზოლუცია ასევე მოიცავს საქართველოს ინტერესებისთვის მეტად პრინციპულ საკითხებს. ევროპარლამენტი რუსეთს მოუწოდებს, პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. აქვეა მოწოდება, რომ რუსეთმა შეასრულოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები.

ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა ევროკომისარმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში იოჰანეს ჰანმა. როგორც ის აღნიშნავს, დოკუმენტის რატიფიცირების შედეგად კიდევ უფრო გამყარდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ჯანსაღი ურთიერთობები, რაც ეფუძნება ნდობას. მართალია, საქართველომ უკვე მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს, მაგრამ, ევროკავშირთან კიდევ უფრო დასაახლოებლად, ევროკომისარი მოუწოდებს საქართველოს განაგრძოს სასამართლო სისტემის რეფორმირება და კანონის უზენაესობის განმტკიცება. იოჰანეს ჰანი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს სეგმენტს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა წარმოადგენს, დროებით რეჟიმში უკვე მოქმედებს 2014 წლის სექტემბრიდან. ვიდეომიმართვაში ხაზი ესმება კონკრეტულ მიღწევებსა და სამომავლო პერსპექტივებს:

„ვაჭრობის სფეროში 2014 წლის სექტემბრის მონაცემები ადასტურებს, რომ 50 პროცენტით გაიზარდა ევროკავშირში საქარველოდან იმპორტი — ძირითადად თხილისა და მინერალური პროდუქციის სახით. ცხადია, ევროკავშირთან გაზრდილ ვაჭრობას სარგებელი მოაქვს საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის. ევროკავშირი კვლავაც გააგრძელებს საქართველოს დახმარებას ვაჭრობის სფეროს რეფორმირებაში და, კერძოდ, დაეხმარება საშუალო და მცირე საწარმოებს, რათა შეძლონ ადაპტირება ბიზნესის ახლებურ პირობებთან. ამისთვის 51 მილიონი ევრო გამოიყოფა. ეს არის კონკრეტული სარგებელი თქვენთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის“.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის ასოცირების შესახებ შეთანხმებას რატიფიცირება გაუკეთა 11-მა ქვეყანამ, ესენია: ხორვატია, რუმინეთი, ბულგარეთი, ლიტვა, ლატვია, მალტა, სლოვაკეთი, ესტონეთი, უნგრეთი, შვედეთი და დანია. სრულყოფილ რეჟიმში ასამოქმედებლად აუცილებელია, რომ დოკუმენტის რატიფიცირება მოახდინოს ევროკავშირის 28-ვე წევრმა ქვეყანამ.

ევროპარლამენტის სხდომათა დარბაზში სტუმრებისთვის განკუთვნილ აივანზე ერთმანეთთან ახლოს ისხდნენ საქართველოს მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტები, თანმხლებ პირებთან ერთად. აპლოდისმენტები დარბაზში ორივეს წარდგენას მოჰყვა, განსხვავება ის იყო, რომ მიხეილ სააკაშვილი დარბაზიდან ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენელმა წარადგინა, ხოლო გიორგი მარგველაშვილი დეპუტატებს სხდომის თავმჯდომარემ წარუდგინა და დიდი მადლობა გადაუხადა ევროპარლამენტში სტუმრობისთვის საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვან დღეს. საქართველოს ოფიციალურ დელეგაციაში ასევე წარმოდგენილი იყვნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, უშიშროების საბჭოს მდივანი, პრეზიდენტის მრჩეველები და მისი ადმინისტრაციის უფროსი.

რა ჯდება საახალწლო კალათი?!

მალე ახალი, 2015 წელი შემოგვიღებს კარს. ეს წელიც იქნება მხიარული ან სევდიანი, პრობლემებით გადატვირთული ან დღესასწაულებით სავსე, ხან კრიზისული, და დაძაბული, ხანაც წარმატებული, შესაძლოა ხვავით სავსეც ან დუხჭირი, თბილიც და გულცივიც. ზოგადად ისეთი, როგორიცაა თვით ცხოვრება. ჩვეულებრივად ისეთი იქნება მორიგი წელი ჩვენს ქვეყანაში, როგორც ავყვებით მის რიტმს. როგორც გვეცხოვრება და როგორც გავუმკლავდებით. ერთი კია, განწყობასაც ბევრი რამ შეუძლია. კონკრეტულად კი, რას მოგვიტანს ახალი 2015 წელი, ამას თავად მომავალი გვიჩვენებს. ამჯერად, ის ვიკითხოთ, თუ როგორ ხვდებიან ჩვენი მოქალაქეები ახალ წელს, როგორია მათი საახალწლო განწყობა და რა ჯდება საახალწლო სუფრის მომზადება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მოსახლეობაშიც გავაკეთეთ გამოკითხვა და დედოფლისწყაროს აგრარული ბაზარი და სუპერმარკეტებიც შემოვიარეთ.

აღმოჩნდა, რომ მოქალაქეების უმრავლესობა საახალწლო სუფრის სამზადისს ცოტა შიშით ხვდება. ისინი ამბობენ, რომ 2015 წლისთვის მათი საახალწლო სამზადისი ისეთი ვერ იქნება, როგორიც, მაგალითად, გასულ წელს იყო. უკვე ბევრი მათგანი აცხადებს უარს ინდაურის ყიდვაზე და ქათმის ყიდვით შემოფარგვლას აპირებს. მიზეზად გაძვირებულ პროდუქტს და ფინანსების ნაკლებობას ასახელებს. -„საბანი როგორც გაგწვდება, ფეხი ისე უნდა გაიშვიროო," - ნათქვამია... 2014 წელს მოსავალი არ მოუვიდა ხალხს და პურიც საყიდელი გაუხდა, ამას ზედ დაერთო უბალახობა, რამაც საქონელი გაწყვიტა, რაც დარჩა ხალხს ცხვარ-ძროხა, მისი რეალიზაციაც გაჭირდა, ხალხისთვის მთავარია გამოიკვებოს და თანაც ისე, რომ იაფი დაუჯდეს, ამიტომ იაფიან გაყინულ ხორცს ყიდულობს და ცოცხალ ხორცზე ხშირად უარის თქმა უხდება. ამიტომ საქონლის ხორცის რეალიზება გაჭირდა, ვეღარ იყიდება. ხალხის დიდ ნაწილს ბანკების ვალი აქვს. ამიტომ, წინასაახალწლოდ, რასაც აიღებენ პენსიას, ხელფასს თუ დახმარებას, ბანკებში მიარბენინებენ და საახალწლო სუფრისთვის თანხაც აღარ დარჩებათ. ჩვენ, უმეტესობა, ასე ვართ!"- ამბობენ ტაქსის მძღოლები.

-„ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო, კარგია ძველებურად არაფერი მოაკლო საახალწლო სუფრას, მაგრამ სადაა ამდენი?! ვის არ უყვარს სუფრა, რომელსაც ჩიტის რძეც არ აკლია? კარგი ინდაური, მაგალითად, წინა კვირას 50 ლარი ღირდა. ყველაფერი რომ მოვიკლო, უნდა ვიყიდო, აბა რა ვქნა, დიდი ოჯახი მაქვს, შვილიშვილები მომივლენ, ხომ უნდა მქონდეს ღირსეული სუფრა. გინდა მეორე დღეს სულ აღარაფერი დამრჩეს, მაინც გავაკეთებ ყველაფერს. ძველად რომ იყო, ისე ხომ ვხედავთ, რომ აღარ არის, მეც იმდენს ვიყიდი და იმდენს გავამზადებ, რამდენიც ერთჯერადად მეყოფა, ვინ დამიწყებს დავას, რატომ კარგი სუფრა არ გაშალეო?! როგორც მეცხოვრება, ისე ვიცხოვრებ, როგორც მელხინება, ისე მოვილხენ!" - ამბობს ბაზარში საახალწლო ფასების გასაგებად შემოსული თემურ ჩალაბაშვილი, რომელიც თავისი ვარაუდით ამბობს, რომ საახალწლო სუფრას დაახლოებით 200 ლარიდან 300 ლარამდე ფული დასჭირდება.

200-300 ლარი ერთი რიგითი მოსამსახურის ხელფასია, არის თუ არა საახალწლო სუფრის გასამზადებლად აღნიშნული თანხა საკმარისი, ეს თავად შევამოწმეთ. აღმოჩნდა, რომ საახალწლო სუფრისთვის აუცილებელი ატრიბუტისთვის საჭირო ნიგოზის ფასი 20 ლარიდან იწყებოდა და ყველაზე საუკეთესო ერთი კილოგრამი ნიგვზის ფასი 25 ლარამდეც აღწევს. შინაური თაფლი 650 გრამი 10 ლარი ღირდა, ხოლო ერთი კოლიგრამი თაფლის ფასი 15 ლარია. ინდაურის ფასი 30 ლარიდან 50 ლარამდე მერყეობდა, წონის შესაბამისად. ბრჭყალიანი ქათამი, რომელსაც ჩვენი მოქალაქეების უმეტესობა ძალიან მიეჩვია და დიდი მონონებითაც სარგებლობს, 12-15 ლარი ჯდება, თითქმის ასეთივე ფასად იყიდით შინაურ

დედალს. ერთი კილოგრამი ცოცხალი თევზის ფასი 7-8 ლარი გახლდათ. რაც შეეხება დანარჩენ წვრილმანს, კერძოდ კიტრი და პომიდორი, რომელსაც ახალი წლის სუფრისთვის ყოველი ოჯახი მაინც ყიდულობს, 3-3 ლარი ღირდა, ვაშლი ლარიანიც გახლდათ და ყველაზე საუკეთესო 2 ლარიც ღირდა, ჩურჩხელის ფასი, შარშანდელივით ისევ 2 ლარია, ფორთოხალი შარშან საახალწლოდ 3 და 4 ლარად რომ ვიყიდეთ, ამჯერად ყველაზე საუკეთესოც კი 2 ლარი ღირს. კივის ფასი 2 ლარი და 50 თეთრია, მანდარინი 1 ლარადაც იყო და ლარნახევრადაც.

დედოფლისწყაროს აგრარულ ბაზარში ცოცხალი სოკოს ფასი წინასაახალწლოდ 6 ლარი ღირს ისევ, ხოლო ცხვრის ყველი შარშან ამ დროს 15 ლარი რომ ღირდა, ახლა 18 ლარი გამხდარა. როგორც ყველის გამყიდველი ქალბატონი ნათელა ამბობს, "წელს ალვანელებმა ბატკნები ვეღარ გაყიდეს, ბატკნები ნებაზე მიუშვეს დედაზე და სწორედ ამიტომ რძემაც მოიკლო. პროდუქციის ნაკლებობამ და გამოზამთრების კრიზისმა ყველზე ფასის ზრდა გამოიწვია. ჩვენი ფასი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ფასში შევიძენთ. შესასყიდი ფასი გაძვირდა და ჩვენც გასაყიდ ფასს მოვუმატეთ." -ამბობენ ყველის გამყიდველები.

რაც შეეხება მაღაზიის პროდუქციას, აქაც არ აღმოჩნდა საგანგაშო სიტუაცია, როგორც შორიდან ხალხს ეჩვენება. ვფიქრობდი, რომ მაღაზიის პროდუქტის ყიდვა ძალიან დიდ თანხას წამართმევდა, მაგრამ სულაც არა, შაქრის ფასი ისევ იგივე ლარნახევარი იყო, შედედებული რძის ფასებიც -ურყევი. ის ძვირადღირებული შოკოლადების ფასები, რაც შარშან 17 ლარი ღირდა, ისევ 17 ლარი გახლდათ, შოკოლადის ფილის ფასებიც მხოლოდ ათი თეთრით გახლდათ მომატებული. როგორც შემდეგ გავარკვიე, სასურსათო პროდუქტიდან მხოლოდ მაწვნის და რძის ფასმა აიწია, ხოლო ბურღულეულიდან და ცხიმებიდან „დაჩამ" და ნინიბურამ. წინიბურა ადრე 1 ლარი და 80 თეთრი ღირდა, ახლა გახდა 2 ლარი და 50 თეთრი. ფასი არ მომატებია არც ჰერკულესს და არც მანანის ბურღულს. რაც შეეხება რძის პროდუქტს, ერთი ქილა მაწონი წინა წელს იყო 80 თეთრი,ხოლო ახლა, გახდა 1ლარი და 80 თეთრი. მცირედით მოიმატა სანამცხვრე ფირფიტების ფასმაც - „ნაპოლეონის" ფენები 3 ლარი და 50 თეთრი დაგიჯდებათ, ხოლო „ჩიტის რძის" და მედოგის ფენები 6-7 ლარი.

მოკლედ ერთი დიასახლისის მოკრძალებული საახალწლო ნობათის სია თავისი ფასებით დაახლოებით ასე გამოიყურება:

ინდაური- 30 ლარი;
ქათამი-12 ლარი;
ფარში, ტოლმისთვის-14 ლარი;
2 კილოგრამი საქონლის ხორცი -24 ლარი;
კომბოსტო ტოლმისთვის -4-5 ლარი;
კიტრი-პომიდორი თითო-თითო კილოგრამი-6 ლარი;
მხალეული, ისპანახი-3 ლარი;
ნიგოზი გოზინაყისთვისაც და საცივისთვისაც 2 კილოა საჭირო- 40 ლარი;
თაფლი-10 ლარი;
მწვანილი-5 ლარი;
ზეთისხილი, ერთი ქილა -6 ლარი
სოკო 2 კილოგრამი -12 ლარი;
თევზი სამი კილოგრამი-24 ლარი;
შოკოლადი 1 კილოგრამი -12დან -17 ლარამდე;
ლიმონათები, 10 ბოთლი- 12 ლარი;
საახალწლო ხელსახოცები-3-4 ლარი;
სუნელები-3-4 ლარი;
პური 10 ცალი-6 ლარი;

მთლიანობაში ეს ყველაფერი ზუსტად 240 ლარი ჯდება. ეს, რა თქმა უნდა, მოკრძალებული სუფრისთვის. თუ ამ ყველაფერს საახალწლოდ მწვადს, ან შემწვარ გოჭს დავუმატებთ, გაცილებით ძვირი დაჯდება, ხოლო თუ სახლში პატარები გყავთ და მათთვის თითო სათამაშოს, ფოიერვერკსა ან მაშხალებსაც შეიძენთ, და ამ ყველაფერს ახალ ნაძვის ხეს და მოსართავებს დაუმატებთ, მაშინ კიდევ დაგჭირდებათ დამატებითი თანხები. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს რაიონში ბევრს სახლში გაზრდილი ქათამი და ინდაური ჰყავდეს, შესაძლოა ნიგოზიც გქონდეთ, რითიც საკმაო შეღავათი შეიძლება გააკეთოთ და თანხა დაზოგოთ. რაც შეეხება პენსიონერებს, ვიცი ამ ჩამონათვალს უამრავს მოაკლებენ და კიდევ უფრო მოკრძალებული სუფრით შემოიფარგლებიან.

მრავალ ახალ წელს, დედოფლისწყაროელებო, ბედნიერი ყოფილიყოს 2015 წელი თითოეული თქვენგანისთვის, სულის სიმხნევეს, გაუტეხლობას და გამძლეობას გისურვებთ! მე მჯერა, რომ ჩვენი, ყველას ერთად დგომით, ერთგულებით, ერთმანეთის ხელისგაწვდით, ერთმანეთის მიტევებით, მოთმინებით, საქართველო მალე გაძლიერდება და თითოეული თქვენგანის ოჯახი წელში თამამად გაიშლება. რწმენა და იმედი ძალიან ბევრს ნიშნავს.

ლალი მეხრიშვილი

ვის რა ვაჩუქოთ 2015 წელს? - საახალწლო ჰოროსკოპი

საახალწლო საჩუქრების გაკეთება გინდათ და არ იცით ვის რა აჩუქოთ? გთავაზობთ საახალწლო ჰოროსკოპს, რომელიც მეგობრისთვის, ახლობლისთვის თუ ოჯახის წევრისთვის საჩუქრის შერჩევას გაგიადვილებთ.

ვერძი- ისეთი პრაქტიკული ქმნილებისთვის, როგორიცაა ვერძი, გამოდგება საჩუქრები, რომლებიც გამოსადეგია საყოფაცხოვრებო მოხმარებაში და შეძლებს გამოიყენოს ყოველდღიურად.საახალწლოდ ვერძს აჩუქეთ მოვლენა ან შთაბეჭდილება: პროფესიონალური ფოტოსესია ან საინტერესო მოგზაურობა, ის ამას ძალიან დააფასებს.

კურო— როცა საჩუქარს კუროსთვის არჩევთ, გახსოვდეთ, რომ ის სულიერი ფასეულობის მატარებელი უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში უხარისხო. საჩუქრად გამოდგება ყველაფერი, რაც პრაქტიკული და ხანგრძლივი მოხმარების არის. კურო კომფორტს აფასებს, ამიტომ საგნები, რომლებიც მის ცხოვრებას სიმყუდროვეს და კომფორტს მოუტანს, მას ნამდვილად მოეწონება.

ტყუპები- ტყუპებისთვის მთავარია ყურადღება, სულიერი სითბო და ზრუნვა, რაც ახლავს თქვენს საჩუქარს. თამამად აჩუქეთ ტყუპებს ისეთი საჩუქრები, რომლებიც დაეხმარებათ მსოფლმხედველობის გაფართოებაში. საჩუქრის ზედმეტად გადაპრანჭული შეფუთვა საჭირო არ არის, რადგან ტყუპებისთვის მნიშვნელოვანია შიგთავსი და არა შეფუთვა.

კირჩხიბი- ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანების დიდი ნაწილი კოლექციონერია. მათთვის საახალწლოდ საუკეთესო საჩუქარი იქნება მორიგი ექსპონატი, რომელიც შეავსებს არსებულ კოლექციას ან საშუალებას მისცემს შექმნას ახალი. დაიმახსოვრეთ, კიბორჩხალასთვის მნიშვნელოვანია არამარტო საჩუქარი, არამედ ის, თუ როგორ მიართმევთ ამ საჩუქარს.

ლომი- კეთილშობილი და სულგრძელი ლომისთვის შერჩეული საჩუქარი უნდა შეეფერებოდეს მის სტატუსს. მნიშვნელოვანია ასევე სადღესასწაულო ატმოსფერო საჩუქრის გადაცემისას. საუკეთესო საჩუქარი იქნება დასვენებისთვის განკუთვნილი ნივთები, ანტიკვარული ნივთები, ავტომობილების მოდელები და ა.შ. ქალბატონებს საახალწლოდ ოქროს სამკაული ყველაზე მეტად გაახარებთ. ასევე მოეწონებათ ძვირფასი სუნამო, ქვები ან ავტომობილი. თუ ლომზე შთაბეჭდილების მოხდება გსურთ, აუცილებლად დაიტანეთ საჩუქარზე მისი ინიციალები.

ქალწული- კომუნიკაბელურ ქალწულს უნდა აჩუქოთ ისეთი რამ, რაც თაროზე არ დაიმტვერება. ის პედანტური, პრაქტიკული და ელეგანტურია. თამამად შეგიძლიათ აჩუქოთ ნივთები, რომლებიც შეამსუბუქებს და დაამშვენებს მათ ყოფას: საოჯახო ტექნიკა, ჭურჭელი ან თეთრეული. ასევე საქმიანი ფორმატის საჩუქრები: სავიზიტე ბარათების ჩასადები, დღიური, ელექტრო თარჯიმანი, დიქტოფონი და ა.შ.

სასწორი- ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალებიც და მამაკაცებიც არიან ესთეტები, ისინი აფასებენ ხელოვნებას და ორიგინალურობას. მათთვის შერჩეული საჩუქარი უნდა იყოს დახვეწილი და გულს უნდა ათბობდეს. სასწორისთვის საუკეთესოა ხელნაკეთი ნივთების ჩუქება. ქალბატონებს ასევე ესიამოვნებათ ხარისხიანი კოსმეტიკა და აქსესუარები.

მორიელი- არ დაგავიწყდეთ, რო მორიელებს ძალიან უყვართ საჩუქრები. მათთვის საახალწლოდ საუკეთესო საჩუქარი იქნება რაიმე ეგზოტიკური. ისინი დააფასებენ ეზოთერიკულ, ასევე პარანორმალური მოვლენების, მოგზაურობის, არქეოლოგიის, ისტორიის და ეგზოტიკური სამზარეულოს შესახებ წიგნებს და ჟურნალებს. მორიელებს უყვართ საიდუმლო, ამიტომ საჩუქარი ძალიან საინტერესოდ შეფუთული უნდა იყოს.

მშვილდოსანი- მას, როგორც მოგზაურობის დიდ მოყვარულს საჩუქრად გაეხარდება: ტურისტის აღჭურვილობა, სამგზავრო ჩანთა, ფოტო და ვიდეოკამერა ან სამოგზაურო ტური რომელიმე ეგზოტიკურ კუნძულზე. მამაკაცი მშვილდოსნისთვის საუკეთესო იქნება საჩუქარი, რომელიც ხაზს გაუსვამს მის ჯენტლმენობას. სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის კარგი საჩუქარი იქნება საჰაერო ბუშტით გასეირნება, ან რომელიმე ცნობილი მომღერლის კონცერტზე დასასწრები ბილეთი.

თხის რქა-ტაქტიკური და დიპლომატიური თხის რქა დიდი სიამოვნებით მიიღებს ნებისმიერ საჩუქარს. ის მუდმივად საჭიროებს სითბოს და კომფორტს. თუ თქვენ ოჯახში გყავთ თხის რქა, აჩუქეთ მას რაიმე რბილი და ფუმფულა. თუ თხის რქა უბრალოდ ახლობელია, მაშინ აჩუქეთ ისეთი საჩუქრები, რომლებიც გამოხატავენ მის მიმართ პატივისცემას, ამასთან საჩუქარი უნდა იყოს პრაქტიკული და სასარგებლო.

მერწყული- ცნობისმოყვარე მერწყული, რომელსაც დახვეწილი გემოვნებაც აქვს, საჩუქარში დააფასებს ორიგინალურობასა და მოულოდნელობას. აქ შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც Iთ-ინდუსტრიის ულტრათანამედროვე „დივაისები", ისე კლასიკური საჩუქრები. მერწყულს ძალიან მოეწონება შუშის ნაწარმი, ულტრამოდური სამოსი ან ტური ეგზოტიკურ კუნძულზე.

თევზები- ამ ნიშნის წარმომადგენლები დიდი მგრძნობელობით გამოირჩევიან. ისინი მჭიდრო კავშირში არიან ხელოვნებასთან და შემოქმედებასთან. ბანალური სურათის ნაცვლად თევზებს აჩუქეთ მასტერ-კლასზე დასასწრები სერთიფიკატი, რომელზეც განხილული იქნება პანოს ან დეკუპაჟის შექმნის მეთოდები. ასევე ძალიან მოეწონებათ ლამაზი ფოტოსესიის მოწყობა.

სპორტის დამსახურებული ოსტატი იუბილარია

7 დეკემბერს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ტაილანდური კრივის და კიკბოქსინგის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი თამაზ ყარაგვეზაშვილი 48 წლის გახდა. მრავალი წელია, ის ჩვენი რაიონის ჯანსაღი თაობის აღზრდას ემსახურება, მას უამრავი კარგი სპორტსმენი აღუზრდია და დღემდე წარმატებით ეწევა ამ ასპარეზზე თაობათა წარმოჩენას. სულ ახლახანს თამაზ ყარაგვეზაშვილის აღზრდილებმა დიდი სიხარული აჩუქეს მთელს საქართველოს. პრაღაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატიდან მისი გუნდი სამი ოქროს, სამი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. ასეთი ნადავლით საქართველოს ნაკრები ალბათ არასოდეს დაბრუნებულა მსოფლიო ჩემპიონატიდან. მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: ვალერი ვაჭრიძე (57 კგ წონით კატეგორიაში), არსენ ყარაგვეზაშვილი (71 კგ), ხვიჩა ქოქუაშვილი (86 კგ). ვერცხლის მედალოსნები: გიორგი წიკლაური (63,5 კგ), შალვა ხოსიტაშვილი (67 კგ), ლევან წიკლაური (60 კგ), ბრინჯაოს მედალოსანი: დავით ქადაგიძე (75 კგ), ბრინჯაოს მედალოსანი ჭაბუკებში: ნუგზარ ყარაგვეზაშვილი (63,5 კგ). გამარჯვებების და იუბილის ფონზე, ჩვენმა გაზეთმა ბატონ თამაზთან სტუმრობა და მასთან ინტერვიუ გადავწყვიტა.

- ბატონო თამაზ, უპირველესად მინდა გკითხოთ, როგორ მოხვდით ამ ტურნირზე?

- ჩემპიონატებსა თუ ტურნირებზე მონაწილეობისთვის საქართველოს ტაილანდური კრივის და კიკბოქსინგის ფედერაცია ღებულობს მოწვევას მსოფლიო ორგანიზაციებიდან. შემდეგ, ხდება ნაკრები გუნდის ჩამოყალიბება და ფინანსური თუ სხვადასხვა ორგანიზატორული საკითხების მოგვარება. აღნიშნულ შეჯიბრზე ჩვენი ბიჭები წარმოადგენდნენ საქართველოს ნაკრებს სხვადასხვა წონით კატეგორიებში. საერთოდ კი, ჩვენს გუნდსაც აქვს მეგობრული ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და ვღებულობთ მიწვევებს შეჯიბრებებზე.

- ვისი მხარდაჭერით წავიდა თქვენი ნაკრები ტურნირში და რას ნიშნავდა დედოფლისწყაროელი სპორტსმენების ამ ტურნირში მონაწილეობა, რა პასუხისმგებლობაა წარუდგინო შენი რაიონი ასეთი ფართო მასშტაბის აუდიტორიას?

- მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებისთვის უამრავი საკითხია მოსაგვარებელი, რომელიც თითქმის მავიწყებს შეჯიბრის მიზნობრიობას და სპორტული შედეგის მიღწევაზე ფიქრს. პრაღის მსოფლიო ჩემპიონატზე დიდი მხარდაჭერის გარეშე, მართლაც ვერ მოვახერხებდით გამგზავრებას. ორგანიზაციულ საკითხებში დაგვეხმარა საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაცია. ფინანსური კუთხით მხარში დაგვიდგა შ.ს.ს. სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტი. ისე რომ, დედოფლისწყაროელი სპორტსმენი ბიჭები, რომლებიც სასაზღვრო პოლიციის მე-4-ე სამმართველოში მუშაობენ, მთლიანად დაგვიფინანსა ჩვენმა სამსახურმა. ორი სპორტსმენი შალვა ხოსიტაშვილი და გიორგი წიკლაური სრულად დააფინანსა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა. გამგზავრების დოკუმენტაციის მოწესრიგებაში დიდი დახმარება გაგვიწია ტურისტულმა სააგენტო „გუდჰოლიდეიმ“ და საერთოდ, მინდა აღვნიშნო, საქართველოში ჯერ კიდევ ასეა, რომ არა კეთილი ადამიანების ნება, ძალიან გაუჭირდებოდა ქართულ სპორტს.

- რამდენად იყვნენ მზადყოფნაში თქვენი სპორტსმენები ტურნირისთვის?

- მსოფლიო ჩემპიონატისთვის გუნდის მომზადება შეჯიბრებამდე რამდენიმე თვით ადრე დავიწყე. გავიარეთ რამოდენიმე ეტაპი-საერთო ფიზიკური და სპეციალური წრთვნა. ბევრი ვიმუშავეთ ფსიქოლოგიურ მომზადება-განწყობაზე. ბიჭებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენეს და თავი არ დაზოგეს მსოფლიო ჩემპიონატის რინგზე ღირსეულად წარსადგენად. ორჯერადი ვარჯიშები, წონის კონტროლი, კვების რეჟიმი და უამრავი სხვა რამაა გასათვალისწინებელი, თუ ეს ყველაფერი არ დაიცვა სპორტსმენმა, მაშინ შედეგიც არ იქნება.

- გამარჯვება და დარბაზში მყოფი ხალხის ემოციები მაინტერესებს, როგორი იყო მსოფლიოს სხვა ხალხის ემოცია ქართველების გამარჯვების მიმართ?

- შეჯიბრზე მონაწილეობდა მრავალი ქვეყანა, ჩამოსული სტუმრები და სპორტსმენები თითქმის ყველა კონტინენტიდან გახლდნენ. საოცარია, მაგრამ იქ ძალიან მოკლე დროში ხდება სპორტსმენთა დამეგობრება. დილიდან გვიან ღამემდე მიმდინარეობს ორთაბრძოლები და ერთ დარბაზში უამრავი ერის წარმომადგენელი იმყოფება. მეორე დღეს, როცა ხვდები მათ, ასე გგონია, თითქოს რამოდენიმე წელი იცნობ. ყველა ერთმანეთს ღიმილით ესალმება და ეკონტაქტება. ჩვენი ბიჭების პირველივე ორთაბრძოლებზე ყურადღება გაამახვილეს როგორც მსაჯებმა, ასევე სპორტსმენებმა, რადგან ძალიან ლამაზი ტექნიკური ბრძოლები ჩაატარეს დედოფლისწყაროელებმა. ჩვენს გამარჯვებებს განსაკუთრებით თბილად ღებულობდა და გვგულშემატკივრობდა საფრანგეთის, ავსტრალიის, პორტუგალიის, უკრაინის გუნდები. ჩამოსვლის შემდეგაც, სოციალური ქსელებით აქტიურად გვეხმიანებიან. არგენტინამ და კანადამ მოწვევაც გამოგვიგზავნა ზამთრის ტურნირზე.

- თქვენ არაერთ ტურნირში გიასპარეზიათ, თანაც წარმატებით, არაერთხელ გისახელებიათ ჩვენი ქვეყანა, როგორ მიაღწიეთ ამ ყველაფერს?

- 1992 წლიდან ვავარჯიშებ გუნდს და მართლაც უამრავ ჩემპიონატზე მაქვს მიღებული მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყანაში. სასიხარულოა, რომ დიდი წარმატებები გვაქვს მოპოვებული, მაგრამ რასაც ამ ჩემპიონატზე მივაღწიეთ, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ხშირად მისვამენ თქვენს მიერ დასმულ კითხვას, თუ რაშია წარმატების საიდუმლო. ძნელია ორიოდ სიტყვით გადმოცე ყველაფერი, მაგრამ მთავარი მიზეზი წარმატებისა, მაინც თავდაუზოგავი ყოველდღიური შრომა და სწორედ შერჩეული მეთოდიკამ. ყველა სპორტსმენი მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდება, მაგრამ როცა ეძლევა მაქსიმალური რეალიზების საშუალება, ის ეცდება გამოამჟღავნოს საუკეთესო თვისებები. მწვრთნელს უნდა ჰქონდეს სხვა ხედვაც, რითიც უნდა ამოიცნოს პიროვნება იმ კუთხით, შეძლებს თუ არა სპორტსმენი აჩვენოს შედეგი მაღალი რანგის შეჯიბრზე.

- ბატონო თამაზ, მე მახსენდება ის დღე, როდესაც ცხრა წლის წინ ინტერვიუზე ვსტუმრობდი თქვენს სპორტდარბაზს. საინტერესო საგაზეთო ინტერვიუ შედგა, მაგრამ კარგად მახსოვს, დარბაზში ცუდი პირობები გქონდათ. დღეს, ამდენი წლის გასვლის შემდეგ, ვხედავ რომ არაფერი შეცვლილა თქვენს დარბაზში, უფრო მეტიც უამრავი გამარჯვებისა და აღიარების მიუხედავად, თქვენ გაცილებით უარეს პირობებში გიწევთ მეცადინეობების ჩატარება, ვიდრე იმ ათიოდ წლის წინ იყო. ამ და სხვა გამარჯვებების შემდეგაც მთავრობის უამრავი წარმომადგენელი გხვდებოდათ აეროპორტში, გილოცავდნენ და ამაყობდნენ თქვენით. აშკარად გაქვთ მათი მხარდაჭერა, მაინტერესებს თუ გაქვთ, ან გექნებათ მომავალში მაინც სპორტდარბაზის პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მხარდაჭერა და თანამედროვე ტიპის საწვრთნელი დარბაზის გაკეთების პერსპექტივა, რადგან თქვენ ამას უკვე რა ხანია იმსახურებთ! ამასთან ერთად, თქვენი სპორტსმენებით მსოფლიოს უვლით და ალბათ გულიც გწყდებათ, როცა იქ საუკეთესო პირობების დარბაზებს ხედავთ!

- დიახ, ჩვენ ვვარჯიშობთ იმავე დარბაზში, სადაც ვიყავით ათეული წლის წინ, სამწუხაროდ ეს შენობა რემონტს საჭიროებს და პირობებიც, ასე ვთქვათ, ნულია, მაგრამ ის სახელმწიფოს არ ეკუთვნის და ვერ მოხერხდება მისი შეკეთება. ახლა საშუალება მოგვეცა 3 დღე ახალ სპორტულ კომპლექსში ვივარიშოთ, სადაც სითბოცაა და სისუფთავეც, მაგრამ ჩვენ გვჭირდება სპეციალიზებული დარბაზი, სადაც იქნება სავარჯიშო „ტომრები“ დაკიდებული, პატარა რინგი მაინც, რათა სპორტსმენი ტექნიკურად ჩამოყალიბდეს და კიდევ უამრავი სავარჯიშო ხელსაწყოა საჭირო. სასიხარულოდ, არის დაპირებები ამ კუთხით, კახეთის გუბერნატორი და რაიონის გამგებელიც დაინტერესებული არიან ჩვენი გასაჭირით და იმედია, მალე შევძლებთ დარბაზის პრობლემის დაძლევას. რაც შეეხება ფინანსურ მხარდაჭერას, ამ მხრივ, რაღა თქმა უნდა, წინსვლა გვაქვს. ეს გამოიხატება თუნცდაც იმაში, რომ გასამგზავრებელი და ყველა სხვა ხარჯები ამ ჩემპიონატზე შალვა ხოსიტაშვილის და გიორგი წიკლაურისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა გაიღო.

- საინტერესო იქნება ალბათ ჩვენი მკითხველისთვის თქვენი სამომავლო გეგმებიც...

- 2014 წელს დიდი შეჯიბრებები ამოვწურეთ, ახლა ვვარჯიშობთ საწვრთნელი პროცესის განრიგით, ასე გავაგრძელებთ იანვრის ჩათვლით, მერე უკვე 2015 წლის შეჯიბრებებში ჩავერთვებით, ვნახოთ, როგორი იქნება ჩვენთვის მომავალი წელი.

წარმატებები მინდა ვუსურვო თქვენს ნაკრებსაც და საერთოდ საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაციას. თქვენ კი, კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს და მრავალი წარმატებული თაობის გამარჯვებები გეზეიმოთ.

ლალი მეხრიშვილი

კალათბურთი

13 ნოემბერს, ქ. დედოფლისწყაროს სპორტულ დარბაზში ჩატარდა კალათბურთში 2014—2015 წლის ჩემპიონატი უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საგარეჯოს, თელავის, გურჯაანის, ახმეტის, ლაგოდეხის და მასპინძელი—დედოფლისწყაროს კალათბურთელთა გუნდები. გაიმართა პირველი ტურის მატჩები, სადაც დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა, ანგარიშით 57—31 დაამარცხეს თელაველი კალათბურთელები.

ძიუდო

29—30 ნოემბერს, ქ. საგარეჯო მასპინძლობდა საქართველოს პირველობას (სარეიტინგო) ჭიდაობა—ძიუდოში, 1998—1999 წწ დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ჩემპიონატში თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრზე თავი გამოიჩინეს ქვემო-ქედელებმა - ვაჟა ბუბუნაურმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა 50 კგ.წ.კატეგორიაში და ნიკა კობაიძემ, რომელიც მეორე ადგილზეა 55 კგ. წ. კატეგორიაში. ორივე სპორტსმენის მწვრთნელია კახა წიკლაური.

"ჩემი დედოფლისწყარო ჩემი განძია"...

ამ რამდენიმე დღის წინ ქ.დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში პედაგოგთა პროფესიული განვითარების ჯგუფმა გამართა კონფერენცია თემაზე პროექტის "ჩემი დედოფლისწყარო ჩემი განძია" დახურვა და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარება. კონფერენციას ესწრებოდნენ პროექტის სამიზნე საზღვრისპირა სოფლების :სამთაწყაროს, საბათლოსა და ფიროსმანის სკოლების დირექტორები და პედაგოგები, N1 საჯარო სკოლის პედაგოგები, "სკოლის ბაზაზე პედაგოგთა პროფესიული განვითარების ჯგუფის" ხელმძღვანელი მაია ინასარიძე, ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი თეა ლეკაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები.კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ "შვიდკაცას" წევრები (პროექტის ავტორები) და მოწვეულ სტუმრებს გააცნეს პროექტის მიზნები, ამოცანები, განხორციელების ეტაპები, ჯგუფების მუშაობის სპეციფიკები, ჯგუფებში განხორციელებული აქტივობების შეფასების კრიტერიუმები, პროექტის განხორციელების დროს დაძლეული პრობლემები და, რა თქმა უნდა, საბოლოო შედეგი. როგორც პროექტის ხელმძღვანელის ნინო ფიროსმანაშვილის მოხსენებიდან შევიტყეთ, მთავარი გამოწვევა, რამაც გადააწყვეტინა მას და მის ჯგუფს ამ პროექტის განხორციელება, გახლდათ საზღვრისპირა სოფლების, გამოკვეთილად კი, საბათლოს მოსახლეობის უმრავლესობის ახალი ტექნოლოგიების უნარ-ჩვევების ნაკლებობა, ინტერნეტ-პროვაიდერების არქონა, მოსწავლეთა ორმხრივი ურთიერთობის დეფიციტი დედოფლისწყაროში ყველაზე მაღალკონკურენტუნარიანი N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან,მათთან ურთიერთობებისა და გამოცდილების გაზიარების მოტივით. თითოეული მოწვეული თუ ადგილობრივი პედაგოგის გამოსვლაში მკვეთრად პოზიტიურად იყო გამოკვეთილი პროექტით გამოწვეული კმაყოფილება.

პროექტის მსვლელობისას, ჟურნალისტების ჯგუფის წევრები შეხვდნენ ჟურნალისტ ილია მარტყოფლიშვილს, რომელიც მოსწავლეებს ესაუბრა ზოგადად ჟურნალისტის პროფესიაზე და მისცა რჩევები საინტერესო სტატიის დასაწერად და ვიდეო რეპორტაჟის გადასაღებად. ის მზადაა, რომ ჟურნალისტთა ჯგუფთან მის შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი და შინაარსობრივ თუ ტექნიკურ საკითხებში დახმარება აღუთქვა.

-მე ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება ამ სამი თვის განმავლობაში ამ პროექტზე მემუშავა, რადგან ამით შევძელით, გავცნობოდით ცენტრს მოწყვეტილი, საზღვრისპირა სოფლების სკოლების მოსწავლეთა ცხოვრებას უფრო ახლოს, გავაცანით მათ თანამედროვე ტექნოლოგიები, ჩავატარეთ ერთობლივი საშემოდგომო ღონისძიებები, დავგეგმეთ სამომავლო ურთიერთობები. აგრეთვე, მინდა აღვნიშნო, რომ საბათლოს სკოლაში მოწყობილმა ორენოვანმა შემოდგომის ზეიმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე, მათ შორის ყველა ბარიერი გაქრა, ბავშვებმა ისწავლეს ფორსმაჟორში მუშაობა, ისწავლეს საქმისადმი მეტი პასუხისმგებლობა, ერთმანეთის შედეგების შეფასება, თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღეს პრაქტიკული ცოდნის გამოცდილება, შეიძინეს მეგობრები. ჩემთვის საამაყოა, რომ წარდგენილი 206 განაცხადიდან 10 გამარჯვებულ სკოლათაგან ერთ-ერთი ჩვენი სკოლაა - ამბობს თავის მოხსენებაში პროექტის კოორდინატორი, N1 საჯარო სკოლის მეოთხე ბ კლასის დამრიგებელი ნონა პოპიაშვილი.

- საზღვრისპირა სოფლები სრულიად მოწყვეტილია ცენტრს, ამიტომ ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, ვითანამშრომლოთ, გავეცნოთ თქვენი დიდი ისტორიული წარსულის მქონე სკოლის თანამედროვე მიდგომებს. ამ პროექტის ფარგლებში გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, პასიურები აქტიურებად გარდაიქმნენ, ძალიან ბევრი ხალისიანი დღე გვაჩუქეთ. დიდ სურვილს გამოვთქვამთ ურთიერთობების გაგრძელების და თხოვნით მოგმართავთ, არასოდეს დაგავიწყდეთ, რომ ჩვენც აქ ვართ, ჩვენც ამ "განძის" ერთი ნაწილი ვართ, რომ საბათლოც საქართველოა! - ასე ამაღელვებლად გამოვიდა სიტყვაში საბათლოს საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი მაყვალა კობაიძე.

კონფერენციაზე N1 საჯარო სკოლის მერვე ა კლასის მოსწავლემ მარიამ ჯორკოშვილმა მაღალ დონეზე წარმოადგინა ნიმუში-მოხსენება თემაზე "ვაზის დაბერება". მშობლის პოზიციიდან შეაფასა პროექტის მნიშვნელობა N1 საჯარო სკოლის ხელოვნების პედაგოგმა ირინა იაკობიშვილმა, რომელმაც აღფრთოვანება ვერ დაფარა საზღვრისპირა სოფლების მონახულებით და დაგვპირდა, რომ მისთვის ამ შთაგონების წყაროდ ქცეულ სილამაზეს აუცილებლად ასახავდა.

პროექტის წევრებს წარმატებით დასრულება მიულოცა N1 საჯარო სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა და დასძინა:- მე ამაყი ვარ ჩვენი პედაგოგების წარმატებით და იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენს სკოლებს შორის თანამშრომლობა შემდგომშიც გაგრძელდება.

პროექტის წევრების მიმართ დადებითი ემოციები ვერ დაფარა N1 საჯარო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგმა ეთერ ზურიკაშვილმა:

-მეამაყება და მიხარია, რომ ამ პროექტმა ასეთი რეზონანსი გამოიწვია,დიდი მადლობა ყველას, რომ ჩვენი სკოლის სახელი კიდევ ერთხელ გახდა ფართო მასებისთვის ცნობილი, ჩვენ ბავშვებს კიდევ ერთხელ მიეცათ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება, მიმაჩნია, რომ მათი ხედვები და იდეები უფრო საინტერესოა, ვიდრე ჩვენი, მათ წარმატებით გაართვეს თავი ამ პროექტს და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ ჩვენი საამაყო გამოცდილების მქონე სკოლას ყოველთვის ჰყავს უძლიერესი ბირთვი.

კონფერენციაზე საბოლოო სიტყვა წილად ხვდა "სკოლის ბაზაზე პედაგოგთა პროფესიული განვითარების ჯგუფის" ხელმძღვანელს მაია ინასარიძეს, რომელმაც თავის გამოსვლაში აღფრთოვანება ვერ დაფარა ჯგუფის წევრების მიმართ და განაცხადა:- მე მიხარია, რომ ამ ჯგუფმა გაითავისა და გაიაზრა ამ პროექტის მნიშვნელობა. გეტყვით გულწრფელად, რომ აქ ასეთ მაღალ დონეზე რამდენიმე მიმართულებით მიდიოდა მუშაობა, ამ პროექტმა ბევრი სფერო მოიცვა, თქვენ ბევრს აჯობეთ და ხართ წარმატებულები!

კონფერენციის დასასრულს შედგა კონკურსში მონაწილე და გამარჯვებული სკოლების დაჯილდოება.გაიმარჯვა საბათლოს საჯარო სკოლამ და დაჯილდოვდა ფოტოაპარატით, ფიროსმანის და სამთაწყაროს სკოლები კი ჭავლური პრინტერებით.

შემაჯამებელი შეხვედრის ოფიციალური მხარის დასასრულს ჯგუფის წევრებმა მადლობა გადაუხადეს სტუმრებს მობრძანებისთვის და დადებითი შეფასებისათვის.

ელზა ხარაშვილი

შენი ეზოს გარეთაც გამოიხედე!

თემა, რომელსაც უნდა შევეხო, ახალი არ გახლავთ, მასზე სხვა დროსაც დაგვიწერია, მაგრამ შედეგი არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, დღემდე. ვფიქრობ, იქნებ ახლადმიღებულმა ადმინისტრაციულმა ღონისძიებებმა მაინც უშველოს ამ საქმეს, რაც თითოეულ მოქალაქეს აწუხებს. მთელი ქალაქი სავსეა მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლით, პატრონიანი თუ უპატრონო ძაღლებით, რომლებიც პირველ რიგში, საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლესა და ჯამთელობას, მერე – აბინძურებენ და აუტანელს ხდიან გარემოს, ანადგურებენ სკვერებს, ბაღებს. უპატრონოდ გაშვებული საქონელი შედის მოსახლეობის ეზოებში, ბაღჩებში და ზიანს აყენებს მათ.

- უკვე გაუსაძლისი გახდა ძროხების თარეში ქალაქში. ერთი პატარა ჯიხური მაქვს. ზამთარ-ზაფხულს, სიცივესა და სიცხეში ვდგავარ აქ და ორიოდ თეთრს ვშოულობ ჩემი ოჯახის სარჩენად. ამ დროს ჩამოივლის ვიღაცის ძროხა, დააცხრება ვიტრინის წინ გამოფენილ ხილსა თუ ბოსტნეულს და ვიდრე მოვიგერიებ, უკვე დაზარალებული ვარ,–ნაწილს შეჭამს, ნაწილს დაკბეჩს, ნაწილს დადორბლის და, გამოდის რომ, მთელი კვირა სულ ტყუილად ვიდექი დახლში, ზარალი აჭარბებს მოგებას. ის კი არა, სარკმელშიც კი ჰყოფენ თავებს და შიგნიდან ითრევენ ჰალვის, „პეჩენიის“ და სხვა პროდუქტის პარკებს. აღარ ვიცი, რა გზას დავადგე, რა გზით მოვიშორო ეს საქონელი. სადგომიც არა მაქვს, რომ დავამწყვდიო პატრონის გამოჩენამდე, რათა გავაფრთხილო, ან ზარალის ანაზღაურება მოვთხოვო. მთელი შეგნებით მესმის, რომ მე მაღაზია მაქვს და იმით ვარჩენ ოჯახს, ვიღაცას ის საქონელიც ოჯახის სარჩენად ჰყავს, არა ვარ წინააღმდეგი, ჰყავდეს, ღმერთმა ბევრი მისცეთ, მაგრამ მოუარონ, უპატრონონ, ასე, გზათა უკან, რომ დადიან, ხომ არ შეიძლება?! ატარონ ნახირში, ჩააბარონ დილით მენახირეს და ჩაიბარონ საღამოს მენახირისაგან, მიჰყვნენ თავის საქონელს და სხვებს ნუ დააზარალებენ, –ამბობს ჰერეთის (სტალინის) ქუჩაზე მცხოვრები მზია ავსავჯანიშვილი. ეს მარტო ქალბატონი მზიას და მხოლოდ ჰერეთის ქუჩის საწუხარი რომ იყოს, რაღა გვიშავდა! ამასწინათ ვუცქერდი, გამგეობის წინ, ზედ ასასვლელ კიბეებს ოლიპიური სიმშვიდითა და ნელი რხევით ისე ჩაუარა რიგში დაწყობილმა ექვსმა ძროხამ, „უხერხულობის გრძნობა“ საერთოდ არ ჰქონიათ, რადგან ეს მათი ყოველდღიური „მარშრუტია“. დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეხვდებით ქუჩებში, სკვერებსა და ბაღებში მოხეტიალე ძროხებს, უპატრონო ძაღლებს, რომელბიც აბინძურებენ და ანადგურებენ გარემოს. ამასთან დაკავშირებით მე მახსენდება სამი ათეული წლის წინ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ირაგაში ნანახი ვითარება, რომელმაც ყველა გაგვაოცა და დამამახსოვრდა კიდეც. ჩვენს მაშინდელ თანამშრომელს თინა ფავლენიშვილს ახალგაზრდა მაზლი გარდაეცვალა და დაკრძალვაზე ჩავედით ამ სოფელში. როცა ქელეხი დამთავრდა, საღამო ხანი იყო და სოფლის ნახირი სახლში ბრუნდებოდა. თითოეულ ძროხას თავისი პატრონი სოფლის თავიდან, სადაც ნახირის შეკრების ადგილი იყო, უკან მოჰყვებოდა, ხელში ვედრო, ცოცხი და პატარა ნიჩაბი ეჭირა, ძროხის ნაკელს იმავე წუთში ხვეტავდა და ვედროში აგროვებდა. ამიტომ იყო, რომ სოფლის ქუჩები, რომელ'ზეც არც ასფალტი იყო დაგებული და არც მოხრეშილი გახლდათ, საოცრად სუფთა და გატკეცილი იყო.

– აქ ეს ყოველდღიური ცხოვრების დაუწერილი კანონიაო, – გვითხრეს იქაურმა მაცხოვრებლებმა. განმარტებისათვის ვიტყვი, რომ ეს ბერნული სოფელი გახლავთ, რომელსაც მაშინდელი მთავრობა ყურადღებითა და მზრუნველობით, მაინცდამაინც არ ანებივრებდა. ისინი თავიანთ წესიგს თვითონ ადგენდნენ და ასრულებდნენ კიდეც. მას მერე ეს მაგალითი ხშირად მომიშველიებია, როცა ჩვენი სოფლების შესასვლელსა თუ გასასვლელში საკუთარი ეზოდან გამოტანილი ნაგვის გროვები მინახავს, რომელსაც შემდგ სოფლის ხელმძღვანელობა, ზემდგომის დავალებით წელიწადში ერთხელ, შაბათობისას ბულდოზერებით ასუფთავებს, ან იქვე მდებარე ხევში მიუჩენს ადგილს, თითქოს ხევი ჩვენი ტერიტორია არ არის ან მას სისუფთავე არ სჭირდება. ეს საკითხები სულ მუდამ მაწუხებს და სწორედ ამიტომ მივესალმები „ნარჩენების მართვის კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტს, რომელიც ძაღლის ან რომელიმე შინაური ცხოველის მცირე ოდენობით ფელაკური მასებით ტერიტორიის დაბინძურების შემთხვევაში მეპატრონის 50 ლარით დაჯარიმებას ითვალისწინებს. პასუხისმგებლობა ძაღლის ან შინაური ცხოველის მეპატრონეს იმ შემთხვევაში არ დაეკისრება, თუ იგი დაუყოვნებლივ მოასუფთავებს დაბინძურებულ ტერიტორიას. 150 ლარით დაჯარიმდება ის ადამიანი, რომლის ცხოველმაც ტერიტორიის 1 კუბური მეტრის ფეკალური მასით დაბინძურება მოახდინა. ჯარიმის დაწესება მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრულ ტერუტორიებზე გავრცელდება.

მე, პირადად, მივესალმები ამ რეგულაციების ცხოვრებაში მკაცრად განხორციელებას. იმედია, უმცირესობაში არ აღმოვჩნდები და ჩემსავით ბევრი მომხრე ეყოლება ამ პროექტს. ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ ყველაფერს, წვრილმანსა და მსხვილმანს, მთავრობას ნუ დავალოდებთ. დავივიწყოთ, რომ ყველაფერი ვიღაცამ ზემოდან უნდა მოაგვაროს. ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობები გავითავისოთ და შევასრულოთ, რათა ხელი შევუწყოთ ერთმანეთს ცხოვრებასა და კომფორტში. გინდა საქონელი გყავდეს? - კი ბატონო, მივესალმები, რაც მეტი დოვლათი შეიქმნება ჩვენს გარშემო, მით უფრო ყველა გავძლიერდებით, მაგრამ მოუარე და უპატრონე შენს ძროხას თუ ცხვარს, ძაღლსა თუ კატას! გამოდი, გამოიხედე შენი ეზოს გარეთ!

ნაირა გორაშვილი

19 დეკემბერი — წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღე

ნიკოლოზობა წელიწადში ორჯერ აღინიშნება. 19 დეკემბერი — წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ხსენების, 22 მაისი კი — ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის წმიდა ნაწილების მირონიდან ბარში გადასვენების დღეა. წმიდა ნიკოლოზის ცხოვრება სასწაულებითაა აღსავსე. მართლმადიდებლები წმიდა მღვდელთმთავარს შეწევნისათვის ყოველგვარი გასაჭირის ჟამს მიმართავენ და ისიც მსწრაფლ შეეწევა ხოლმე მათ. წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველად მას შემდეგ ითვლება, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდანს ქართული ეკლესია შეავედრა. წმიდანი დაუღალავად ქადაგებდა ღვთის სიტყვას, თავადაც მაგალითი იყო ქრისტიანული ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.



ცხოვრება წმინდა ნიკოლოზისა ღვთაებრივი ნათლით იყო გაბრწყინებული. მის ლოცვასა და შემწეობას მრავალი ადამიანი უხსნია ხორციელი თუ სულიერი სიკვდილისაგან. მრავალი გადაურჩენია ზღვაში ჩანთქმისგან, მრავალიც განუკურნავს: ბრმათათვის თვალი აუხელია, კოჭლთათვის საღი ფეხი მიუცია, ყრუთათვის — სმენა, უტყვთათვის — მეტყველების მადლი. სიღატაკეში მყოფთათვის — ცხოვრების სახსარი, დამშეულთათვის — სასმელ—საჭმელი.

ქართველ ხალხში წმიდა ნიკოლოზი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. საქართველოში მის სახელზე აგებული მრავალი ტაძარი არსებობს და ამ დღესასწაულს განსაკუთრებული სიხარულით ამ ტაძრის მრევლი აღნიშნავს ხოლმე. წმიდა ნიკოლოზის ხატის დაწერაც დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული ქართველი ხატმწერებისთვის. ამასთან, ნიკოლოზი საქართველოში ერთ—ერთი გავრცელებული სახელია და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი ცდილობს, ღირსეულად ატაროს წმიდანის სახელი.

წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. როცა წმიდანი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა, შეიტყო, რომ ერთ გაღატაკებულ კაცს, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა, მათი გამზითვება და დაქორწინება არ შეეძლო, — განუზრახავს მათი საროსკიპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება. ქალწულები ცრემლით ევედრებოდნენ უფალს გამოხსნას ამ საშინელი ხვედრისაგან. ღმერთმა მათ დასახმარებლად მღვდელი ნიკოლოზი გააგზავნა. სამგზის მივიდა მის სახლთან წმიდა ნიკოლოზი და ყოველ მისვლაზე კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა. ასე შეძლო მამამ თავისი სამივე ქალიშვილის გამზითვება. ამგვარად იხსნა წმიდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისგან. სწორედ ამ ეპიზოდმა წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში. ასე, თანდათანობით, იქცა იგი დას. ევროპისა და ჩრ. ამერიკის შობა-ახალწლის სიმბოლოდ — სანტა კლაუსად. შობა ღამეს, წმიდა ნიკოლოზის სასწაულის მოლოდინში, საჩუქრების დასატოვებლად საგანგებოდ წინდებს გამოფენენ ხოლმე. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შობა ღამეს წინდებსა და ფეხსაცმელს ბუხართან ტოვებენ, რადგან სწამთ, რომ საკვამურიდან სახლში სანტა კლაუსი ან მისი თანაშემწე შემოაღწევს და წინდებსა და ფეხსაცმელში საჩუქრებს ჩააწყობს. თუმცა, თანამედროვე ბავშვის ცნობიერებაში ამჟამინდელი სანტა კლაუსი არანაირად არ უკავშირდება წმიდა ნიკოლოზს.

ი ყ ი დ ე ბ ა

2 ოთახიანი გარემონტებული, სუფთა ბინა 5 სართულიანი კორპუსის მე-2 სართულზე. სველი წერტილით, ცხელი წყლით. მის: ქ. დედოფლისწყარო, ბარათაშვილის ქ. №8 (ლურჯი კორპუსი)

599 92 36 34

მონატრება

ეთერ მენთეშაშვილი

სადაცაა, 40 დღე გავა. ალბათ ჩვენი სკოლის კედლებში ჩვენსა და შენი მოწაფეების მოსანახულებლად მოფარფატდები, ისედაც ფარფატა ქალი. რამოდენიმე დღეც და ეტყვი დედამიწას „მშვიდობით“.

შვიდობით ეთერ, შენი უკვდავი სული მუდამ დარჩება ჩვენს გულებში. ღმერთმა გაგანათლოს იმქვეყნიურ სასუფეველში.

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის თანამშრომლები.

თამაზი (ბათია) ტუსაშვილი

მარადიული ცრემლია და საშინელი ტკივილი, მხოლოდ წარსულის მოგონებებით გიხსენებთ, საყვარელო ბათია. უზომო სულის ტკივილია უშენობა. ალალო, სიცოცხლეზე და ოჯახზე შეყვარებულო ადამიანო.

მონატრება, რომელსაც შენი სახელი ჰქვია, გაუსაძლისია. უკვე 8 წელია, უშენოდ ვცხოვრობთ, თუ ამას სიცოცხლე და ცხოვრება ჰქვია. შენს სიცოცხლეს შენი შვილი-ილიკო აგრძელებს. მიჭირს დაჯერება, მაინც როგორ მოგერია სიკვდილი მთასავით კაცს. ენატრები ყველას-რძალს, მეგობრებს, ახლობლებს, პატარა შვილიშვილი სალომე, რომელიც მხოლოდ სურათით გიცნობს, ყოველთვის გახსენებს სანთელს და იმედი აქვს, რომ მოხვალ და მოეფერები. შენი მოხუცი მშობლებისთვის ხომ სიცოცხლე არარაობაა, მათ ხომ შენგან გაყინული საფლავის ქვიდან მომზირალი შენი თბილი სახე და თვალები დარჩათ.

იმ საბედისწერო დღეს, 22 დეკემბერს უფალმა სამოთხის კარი გაგიღო და შენ შენი ფიქრებითა და აუსრულებელი ოცნებებით დაადექი სასუფევლის გზას. შენს ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია, რადგან ღიმილიანი, სითბოთი სავსე კაცის სახელი დატოვე.

ულმობელმა სიკვდილმა ერთმანეთს ფიზიკურად დაგვაშორა, მაგრამ არ იფიქრო, სიკვდილი შეძლებს შენდამი სიყვარულის განელებას. შენ ჩვენს გულებში აგრძელებ სიცოცხლეს, ჩვენთვის ყოველთვის უკვდავი ხარ შენი სიკეთით და მოგონებებით.

„დრო ნელია, მაგრამ ცრემლები? - ცრემლები ულევი.. ღმერთს სასუფეველში რჩეულები მიჰყავსო და ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში შენი წასვლის შემდეგ დავრწმუნდი. ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა. შენ ჩვენს გულებში სამუდამო ტკივილად დარჩები, შორიდან გეფერებით, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, ჩვენო მონატრებულო და ძვირფასო ბათია.

რამდენი ხანიც გინდა გავიდეს, ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ სანთელს და ვილოცებთ შენთვის.

შენი ოჯახი.

ჩემს საყვარელ ადამიანებს

მოდის ახალი წელი და ყველა რაღაცას ეწვალება, რომ ახალ წელს შეხვდეს კარგი განწყობით. რაც, რა თქმა უნდა, სასაიამოვნოა. ყველა ოჯახს წინასწარ მივულოცავ ახალი წლის მოსვლას, დაე, ყველასათვის იყოს 2015 წელი სიკეთის, სიხარულის, დოვლათის, სიღარიბის დამარცხების წელი. აქვე მინდა ჩემსავით შვილმკვდარ ყველა დედას ვუსურვო, რომ ჩვენი შვილები, იმქვეყნად ნათელში და სამოთხეში ყოფილიყვნენ. ჩემი სურვილია, რომ არცერთ დედას შვილი არ მოუკვდეს, გინდ მტერიც იყოს ჩვენი. შვილის სიკვდილით მიყენებულ ჭრილობებს ვერავითარი დრო და წამალი ვერ შველის. ჩემო ნუგზარ, შვილო, დღე და ღამ შენზე ფიქრით ვათენებ და ვაღამებ, მაგრამ ჩემი ნატვრა არ სრულდება, რომ მალე წამოვიდე თქვენთან. მამაშენმა მაჯობა და მალე დაიდო ბინა შენს გვერდით. თქვენი სიცოცხლის დროსაც ასე იყო, ის ყოველთვის ასე იყო, ის ყოველთვის შენთან იყო, სადაც კი შენ იყავი სწავლის პერიოდში რუსეთში, ჯარის დროსაც ხშირად გნახულობდა. არანაკლები გულის ტკივილი განვიცადე ჩემი ძმის სურენას, ძმისშვილის პაატას, დედის სონას, მამის გელას სიკვდილით. ცხადია, რაც არ უნდა ასაკოვანი იყოს ადამიანი, როცა ოჯახის წევრი გაკლდება, მითუმეტეს, როცა სიყვარული, სიკეთე და გაგება არის, მათ სიკვდილს მტკივნეულად განიცდი. ამიტომ, მინდა მოვიხსენიო ჩემი დედამთილი სონა მაჩაბლიშვილი, ჩემი უსაყვარლესი მეუღლე ბელუა, რომლებსაც ჩემზე დიდი ამაგი და პატივისცემა აქვთ გაწეული. აქვე ვიხსენებ ჩემი, სამთოელების ქუჩის მცხოვრებლებს, რომლებმაც ძალიან გვატკინეს გული. დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, როცა ჩვენი უბნიდან ისეთი საყვარელი ახალგაზრდები დავკარგეთ, რომლებსაც არ დასცალდათ ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა. სკოლის დამთავრება არ ეღირსა ნონა ჩერქეზიშვილს, რომელსაც განუკურნებელი სენი შეხვდა, მისმა მშობლებმა რა არ იღონეს, მაგრამ სიკვდილს ხელიდან ვერ გამოსტაცეს. ასევე კობა ტატუნაშვილი, რომელსაც სკოლის დამთავრება უნდა ეზეიმა და ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ის იყო სამაგალითო ბავშვი ყველაფერში, სიკეთით სავსე ადამიანი ყველას დაგვწყვიტა გული მიხა შარმაზანაშვილის სიკვდილმა, რომელსაც თვალი დარჩა მცირეწლოვან შვილებზე და მეუღლეზე, ისიც კატასტროფაში დაიღუპა. ნათელში იყავით ყველანი. მსუმბუქი იყოს თქვენს გულებზე დაყრილი მიწა.

ციცინო გონაშვილი

უახლოესი მეგობრები: ვაჟა ნატროშვილი, ვახტანგ კიკილაშვილი, გივი ბეგლარიშვილი და სერგო ქართველიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის

ნუგზარ გველუკაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები: ვაჟა,გივი ნატროშვილები. რძლები: ნინო, გალინა. შვილიშვილები: ერეკლე, თორნიკე, სანდრო, ნანა, ილია, ქეთი, ვიკა, ნატო, პეტრე. შვილთაშვილები: გიორგი, სანდრო, ნინო, ალინა, თეონა, ედვარდი, დავითი, გიორგი, ლუკა იუწყებიან

რუსუდან ჯინაშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა კვირას, 13 საათზე, ქ.დედოფლისწყაროში.

ეგული, დიმიტრი და ნონა ყოჩიაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ გივი და ვაჟა ნატროშვილებს დედის

რუსუდან ჯინაშვილის

გარდაცვალების გამო.

მერი, ვაჟა, გოჩა ნატროშვილები ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეზობლის და ოჯახის ახლობლის

ნუგზარ გველუკაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეზობლები: მარინა სონღულაშვილი, მედიკო მჭედლიშვილი, ლეილა გულაშვილი, ლამარა მენთეშაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ

ნუგზარ გველუკაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჰამლეტ გონაშვილის სახ. ქართული გალობის და ხალხური სიმღერის სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები თანაგრძნობას უცხადებენ გელა გველუკაშვილს ძმის

ნუგზარ გველუკაშვილის

გარდაცვალებისგამო.

2015 წელი-ლურჯი თხის წელიწადი. როგორ შევხვდეთ მას?

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, 2015 წელი ლურჯი ხის თხის წელიწადია. იგი დადგება 2015 წლის 19 თებერვალს. ეს არის წელი მხიარულებისა და სიახლეების. თხა გამოირჩევა სტუმართმოყვარეობით და მოთმინებით. წინა წელთან შედარებით, ლურჯი(ზოგიერთი ვერსიით მწვანე) ხის თხის წელიწადი, ზოდიაქოს ნიშნების უმრავლეს წარმომადგენელს, მოუტანს ნათელ და პოზიტიურ ცვლილებებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

იმისათვის, რომ დამდეგი წელი წარმატებული იყოს, საჭიროა მას სათანადოდ დავხვდეთ...

წლის ფერებია-ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ფირუზის და მეწამულის ფერი.

წლის კოსმიური ელემენტია-ხე.

თხის წლის თილისმად ითვლება-ლურჯი(მწვანე) ხის თხა.

კარგი იქნება თუ გვეცოდინება, როგორ შევხვდეთ ახალ წელს და რა გავითვალისწინოთ.

სახლის დეკორაცია:

ლურჯი თხის წელიწადში უმჯობესი იქნება თუ დეკორაციისთვის გამოვიყენებთ ხის მასალისგან დამზადებულ მოსართავებს და სამკაულებს. ნაძვის ხეც სასურველია, რომ მოირთას ლურჯ, მწვანე და ფირუზისფერ ფერებში, რაც შეეხება ჭურჭელს ალბათ ძნელი იქნება ხის ჭურჭლის მოძებნა, მაგრამ თითო რამ შეიძლება მაინც აუცილებლად დავახვედროთ თხას-ხის ჭიქა ან კოვზი და ასე შემდეგ... კარგი იქნება თუ ზანზალაკებს დავკიდებთ ოთახში და ბინის შემოსასვლელში, ეს მოგიტანთ წარმატებებს თხის წელიწადში.

ახლა სად და ვისთან ერთად შევხვდეთ ახალ წელს-იმის გამო, რომ თხა შინაური ცხოველია, უმჯობესი იქნება თუ ახალ წელს ოჯახურ გარემოში, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად შეხვდებით. თხას უყვარს მხიარული მეგობრული გარემო, მაგრამ ხმაურიანი თავყრილობა არ მოსწონს. მისთვის მნიშვნელოვანია ჰარმონია ოჯახში და ურთიერთობებში.

საახალწლო საჩუქრები-საუკეთესო საჩუქარი თხის წელიწადში იქნება ამ წლის სიმბოლო ლურჯი თხა და ხისგან დამზადებული სამკაულები და აქსესუარები. იმის გამო, რომ თხა მშიშარა ცხოველია და ხმაური აფრთხობს, არ არის სასურველი საოჯახო ტექნიკის ჩუქება. საუკეთესო საჩუქრად ჩაითვლება თბილი შალისგან დამზადებული სამოსის და ქუდების ჩუქება და რაც მთავარია, ყველა საჩუქარი უნდა იყოს ლამაზად გაფორმებული და შეფუთული.

მუდმივი კითხვა, რა ჩავიცვათ? იმის გამო, რომ ლურჯი, ცისფერი და მწვანე თხის წელიწადის ფერებია, უმჯობესია ამ ფერებში გამოეწყოთ. დიზაინს იმდენად არ აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ფერს და რათქმაუნდა სამკაული უმჯობესია თუ იქნება ხისგან დამზადებული. მთავარი პრინციპი 2015 წელს არის ის, რომ კაბა თუ მაისური უნდა იყოს ბუნებრივი ქსოვილისგან დამზადებული.

საახალწლო სუფრა

ეს ხომ წარმოუდგენელია ტრადიციული ქართული კერძების გარეშე - თქვენს სუფრას აუცილებლად დაამშვენებს ხაჭაპური, საცივი, გოზინაყი... მაგრამ გაითვალისწინეთ წლის ცხოველის ხასიათი და შეეცადეთ, სუფრაზე არ იყოს ცხვრის ხორცი, სხვა ხორცი დასაშვებია.. განსაკუთრებით უყვარს თხას ყველი და ამიტომ, შეგიძლიათ რამოდენიმე სახეობის ყველი დაახვედროთ.

სუფრაზე აუცილებლად იყოს რაც შეიძლება ბევრი მწვანილი, რამდენიმე სახეობის ბოსტნეულის სალათა და ხილის ასორტი. თავი შეიკავეთ გაყინული პროდუქტებისაგან და ეცადეთ ყველაფერი მხოლოდ ნატურალური მიირთვათ. და ბოლოს, არ დაგავიწყდეთ სუფრაზე მარილი! ალბათ ბევრმა თქვენგანმა არ იცის, რომ წლის ცხოველს მარილი ძალიან უყვარს.

„შირაქი" გილოცავთ დამდეგ ახალ 2015 წელს!

მშვიდობისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ეს წელი თქვენთვის!

ულოცავენ!

ნიკოლოზ ჯანიაშვილს!

ბატონო ნიკოლოზ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა გილოცავთ ბედნიერებას თქვენს რჩეულთან - მაკინე მეტრეველთან ერთად. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და აკვანთა სიმრავლეს. არ მოგკლებოდეთ წმინდა ნიკოლოზის მადლი და ძალი თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ბარბი ჩიტიშვილს

ჩვენო საყვარელო ბარბი, გილოცავთ ბარბარობას და დაბადების დღეს – 25 დეკემბერს. ჯანმრთელი, ბედნიერი და მუდამ გახარებული გვენახე. უფალი იყოს შენი მფარველი.

შენი მამიკო ლევანი, **ძია** ლერი, ვალიკო **პაპა** და მერი **ბებო**.

ნიკოლოზ ჯანიაშვილს! მაკინე მეტრეველს!

გილოცავთ ოჯახის შექმნას, გისურვებთ ბევრ ლამაზ წუთსა და წელს ერთად გასავლელ გზაზე. დაე, ცხოვრების ბოლომდე გაგყოლოდეთ ის ლამაზი გრძნობა, რომელმაც თქვენ დაგაკავშირათ.

პატივისცემით,

გაზეთ „შირაქის" რედაქცია

მადლიერება

დედოფლისწყაროს პოლიკლინიკის და საავადმყოფოს ექიმს ნევროპათოლოგ ეკა გონაშვილს, მედპერსონალს ლელა მარტიაშვილს, ეკა ბოჭორიძეს, ნათია ბაღაშვილს, ია უსენაშვილს, იამზე ბაღაშვილს, ლაბორანტ ია ხუციშვილს, რენტგენოლოგ ლია ალხანიშვილს. დიდ მადლიერებას ვუხდი, რადგან მათ სტაციონარში ჩემი მოხვედრის დროს გამოიჩინეს დიდი ყურადღება. თითოეულ მათგანს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერ ახალ წელს.

ნაირა (მერი) ყოჩიშვილი

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 22.12	სამშაბათი 23.12	ოთხშაბათი 24.12	ხუთშაბათი 25.12	პარასკევი 26.12	შაბათი 27.12	კვირა 28.12
დღე	5°	2°	2°	5°	4°	6°	3°
ღამე	4°	–2°	1°	3°	2°	4°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-შენეკერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქლაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K